ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-71

2010 წლის 1 აგვისტო

ქ. ქობულეთი

კაფე - ბარებსა და გართობის ობიექტებში მუსიკალური და გახმოვანების სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების შეზღუდვების შესახებ

„ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. შეიზღუდოს მუნიციპალიტეტის საკურორტო ზოლში ღია ტიპის კაფე-ბარებში, რესტორნებში, გართობის სხვა ობიექტებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხმამაღალი მუსიკა 24 საათიდან 08 საათამდე 55 დეციბალის ზემოთ.

2. ბუნგალოს ტიპის ობიექტებში შეიზღუდოს მუსიკა მაღალი სიხშირის აპარატურის გამოყენებით 03 საათიდან 08 საათამდე 55 დეციბალის ზემოთ.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გამგებელი ვ. თავართქილაძე).

4. აღნიშნული განკარგულება ცნობად მიიღოს ქობულეთის რაიონული პოლიციის სამმართველომ (უფროსი დ. ბეჟანიძე) და ეთხოვოს დახმარება აღმოუჩინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებს განკარგულების შესრულებაში.

5. ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 11 აგვისტოს №-84 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე